ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა
77-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზების წესი

1. სტუდენტთა 77-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციას ორგანიზებას უკეთებს უნივერსიტეტის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების კონფერენციის საინიციატივო ჯგუფი.

2. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია ტარდება უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე.

3. ფაკულტეტის დეკანი სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების კონფერენციის საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებთან ერთად ქმნის საკონფერენციო ჟიურის შემადგენლობას და უზრუნველყოფს კონფერენციის ჩატარებას სექციების მიხედვით.

4. ფაკულტეტის დეკანატი კონფერენციის საფაკულტეტო სამუშაო პროგრამას (ფორმატი – A4, Microsoft Word, შრიფტი – AcadNusx, შრიფტის ზომა – 10) წარადგენს უნივერსიტეტის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებაში **<u>2017 წლის 15 ნოემბრამდე.</u>** კონფერენციის საფაკულტეტო სამუშაო პროგრამა წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ვერსიით და შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) ფაკულტეტის დასახელება;
ბ) სექციების დასახელება;
გ) თითოეული სექციის ჟიურის შემადგენლობა წევრების აკადემიური თანამდებობის მითითებით;
დ) კონფერენციის სამუშაო გეგმა (თარიღი, მუშაობის დაწყება-დამთავრების დრო, კორპუსი, აუდიტ.);
ე) მომხსენებლის გვარი და სახელი სრულად, კურსი;
ვ) მოხსენების სრული დასახელება;
ზ) სტუდენტის მეცნიერ-ხელმძღვანელის გვარი და სახელი სრულად, აკადემიური თანამდებობა ან სამეცნიერო ხარისხი.

5. სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის უფლება აქვთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებს.

6. საუნივერსიტეტო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვება სტუდენტი, რომლის საკონფერენციო ნაშრომს აქვს უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური პერსონალის (მეცნიერ-ხელმძღვანელის) დადებითი რეკომენდაცია.

7. ფაკულტეტის საკონფერენციო ჟიური შეიმუშავებს სამეცნიერო მოხსენების შეფასების კრიტერიუმებს ქულობრივი მაჩვენებლებით, რომელიც კონფერენციის დაწყებამდე ეცნობება მონაწილეებს.

8. სამეცნიერო კონფერენციაზე სტუდენტის გამოსვლას აფასებს ჟიურის თითოეული წევრი სათანადო უწყისში კრიტერიუმების მიხედვით.

9. კონფერენციის დასრულებისას ჟიური აცხადებს შედეგებს და გამარჯვებულებს.

10. ჟიურის მიერ გამოვლენილი გამარჯვებული სტუდენტების შედეგები დეკანატებმა უნდა წარადგინონ უნივერსიტეტის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენციის საინიციატივო ჯგუფს, კონფერენციის ჩატარებიდან არაუგვიანეს ორ დღეში.

11. კონფერენციაში გამარჯვებული სტუდენტების დაჯილდოვება მოხდება უნივერსიტეტის მიერ დაწესებული სიგელებით თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა-დოქტორანტურა) და დაკავებული I, II, III ადგილების შესაბამისად.

12. პროფესორ/მასწავლებელი, რომლის ხელმძღვანელობითაც აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილე ორმა ან მეტმა სტუდენტმა მოიპოვა გამარჯვება, სამეცნიერო საქმიანობით სტუდენტების დაინტერესებაში მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდება საპატიო სიგელით.

13. კონფერენციაში გამარჯვებულ მონაწილეთა ნაშრომები დაიბეჭდება თსუ სტუდენტთა ელექტრონულ სამეცნიერო შრომების კრებულში.